

კურზატი ® რ სფ

ვერსია: 1.0 განახლების თარიღი: 21.09.2023 უძველესი ნომერი: 800080000258 ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023

კორტევა აგრისაიენსი™ მოგიწოდებთ და იმედოვნებთ, რომ თქვენ სრულად წაიკითხავთ და გააცნობიერებთ ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელს, ვინაიდან მთელი დოკუმენტი შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას. აღნიშნული უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი მომხმარებლებს აწვდის სამუშაო ადგილზე ადამიანის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაციას და ეხმარება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაში. პროდუქტის მომხმარებლები და დისტრიბუტორები პირველ რიგში უნდა გაეცნონ პროდუქტის ტარაზე მიკრულ ან თანმხლებ ეტიკეტს. ეს უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შეესაბამება საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და მარეგულირებელ მოთხოვნებს და შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს სხვა ქვეყნებში მოქმედ მარეგულირებელ მოთხოვნებს.

1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

პროდუქტის დასახელება : **კურზატი ® რ სფ**

მწარმოებლის ან მომწოდებლის მონაცემები

კომპანიის იდენტიფიკაცია : კორტევა აგრისაიენს ინტერნეიშენალ ს.ა.რ.ლ.
 მწარმოებელი/იმპორტიორი :
 როუდ დე სუისი 160 Route de Suisse 160
 CH-1290 ვერსუა CH-1290 Versoix
 შვეიცარია Switzerland

ელ-ფოსტა : SDS@corteva.com

გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი : +32 3 575 55 55

ქიმიური პრეპარატის რეკომენდებული გამოყენება და გამოყენების შეზღუდვები

რეკომენდებული გამოყენება : ფუნგიციდი

2. საფრთხეების იდენტიფიკაცია

GHS კლასიფიკაცია

მწვავე ტოქსიკურობა (პერორალური) : კატეგორია 4

მწვავე ტოქსიკურობა (ინჰალაციური) : კატეგორია 4

რეპროდუქციული ტოქსიკურობა : კატეგორია 2

წყლის გარემოსათვის მოკლევადიანი (მწვავე) საშიშროება : კატეგორია 1

წყლის გარემოსათვის გრძელვადიანი (ქრონიკული) საშიშროება : კატეგორია 1

GHS – ეტიკეტირება

საშიშროების პიკტოგრამები

კურზატი ® რ სფ

ვერსია: 1.0 განახლების თარიღი: 21.09.2023 უძველესი ნომერი: 800080000258 ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023



- სასიგნალო სიტყვა : ფრთხილად
- საშიშროების შესახებ განცხადებები : H302+H332 მავნეა გადაყლაპვისას ან ჩასუნთქვისას.
H361d სავარაუდოდ იწვევს მუცლად მყოფი ბავშვის დაზიანებას.
H410 ძლიერ ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის ხანგრძლივი ეფექტებით.
- გამაფრთხილებელი განცხადებები : **პრევენცია:**
P201 გამოყენებამდე გაიარეთ შესაბამისი მომზადება.
P261 მოერიდეთ მტვრის/კვამლის/აირის/აეროზოლის/ორთქლის/სპრეის შესუნთქვას.
P264 გულდასმით ჩამოიბანეთ კანი პროდუქტის გამოყენების შემდეგ.
P280 ატარეთ დამცავი ხელთათმანები/დამცავი სპეცტანსაცმელი/თვალის დამცავი/სახის დამცავი საშუალებები.
P273 თავიდან აიცილეთ გარემოში გამოთავისუფლება (მოხვედრა).
რეაგირება:
P391 შეაგროვეთ დაღვრილი/დაფრქვეული პროდუქტი.

სხვა საფრთხეები, რომლებიც არ იწვევს კლასიფიკაციას არ არის ცნობილი.

3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

სუფთა ნივთიერება/ნარევი : ნარევი

კომპონენტები

ქიმიური სახელწოდება	CAS-No.	კლასიფიკაცია	MAC (ზღვ) სიდიდე მგ/მ ³ / TSEL სიდიდე	კონცენტრაცია (% w/w)
ორჩანაცვლებული სპილენძის ქლორიდის ტრიჰიდროქსიდი	131929-60-7	მწვავე ტოქს. 4; H302 მწვავე ტოქს. 4; H332 წყლის მწვავე 1; H400 წყლის ქრონიკული 1: H410	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი	>= 60 - < 70
კაოლინი	1332-58-7	წყლის მწვავე 1; H400 წყლის ქრონიკული 1: H410	MPC-TWA: 8 მგ/მ ³ უპირატესად ფიბროგენული მოქმედების აეროზოლები, კლასი 3 - ზომიერად საშიში მონაცემთა წყარო: RU OEL	>= 10 - < 20
ციმოქსანილი (ISO)	57-55-6	მწვავე ტოქს. 4; H302 მწვავე ტოქს. 5; H333 მწვავე ტოქს. 5; H313 რეპრ. 2; H360 წყლის მწვავე 1; H400 წყლის ქრონიკული 1: H410	მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი	4,33

აბრევიატურების განმარტებისათვის იხილეთ მე-16 პარაგრაფი.

კურზატი ® რ სფ

ვერსია: 1.0 განახლების თარიღი: 21.09.2023 უძვე ნომერი: 800080000258 ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023

4. პირველადი დახმარების ზომები

- ზოგადი რჩევა : უგონო მდომარეობაში მყოფ ადამიანს არ გადააყლაპოთ არაფერი.
- ჩასუნთქვისას : გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ ჟანგბადი ან ხელოვნური სუნთქვა. მიმართეთ ექიმს.
- კანზე მოხვედრის შემთხვევაში : სასწრაფოდ გაიხადეთ დაზინძურებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელები. დაუყონებლივ ჩამოიბანეთ საპნითა და დიდი რაოდენობის წყლით. კანის გაღიზიანების ან ალერგიული რეაქციების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს. გარეცხეთ ტანსაცმელი ხელახლა გამოყენებამდე.
- თვალში მოხვედრისას შემთხვევაში : ფართოდ გადაწიეთ ქუთუთოები და გამოირეცხეთ თვალები დიდი რაოდენობით წყლით მინიმუმ 15 წუთის განმავლობაში. მიმართეთ ექიმს.
- ჩაყლაპვისას : მიმართეთ ექიმს. არ გამოიწვიოთ ლებინება ექიმის რჩევის გარეშე. თუ პიროვნება გონზეა: გამოირეცხეთ პირის ღრუ წყლით. დალიეთ 1 ან 2 ჭიქა წყალი.
- ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე შეყოვნებული სიმპტომები და შედეგები : ადამიანების ინტოქსიკაციის შემთხვევები არ არის ცნობილი და უცნობია ექსპერიმენტის პირობებში ინტოქსიკაციის სიმპტომები.

5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

- აალებადსაშიში თვისებები**
ანთების წერტილი : არ გამოიყენება
- ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები : წყლის ნაკადი ალკოჰოლმედეგი ქაფი
- ხანძარსაწინააღმდეგო შეუსაბამო საშუალებები : არ არის ცნობილი
- განსაკუთრებული საფრთხეები ხანძრის ჩაქრობის დროს : წვის პროდუქტების ზემოქმედება შეიძლება იყოს ჯანმრთელობისათვის საშიში.
- ხანძრის ჩაქრობის სპეციფიკური მეთოდები : გაიტანეთ დაუზიანებელი კონტეინერები ხანძრის ზონიდან, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოდ არის შესაძლებელი. დატოვეთ სახიფათო ზონა. გაუხსნელი კონტეინერების გასაგრილებლად გამოიყენეთ წყლის ჭავლი.
- დამატებითი ინფორმაცია : გამოიყენეთ ადგილობრივი ვითარებისა და გარემომცველი გარემოს შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.
- დაცვის სპეციალური საშუალებები მებანძრეებისათვის : აუცილებლობის შემთხვევაში ხანძრის ჩაქრობის დროს გაიკეთეთ რესპირატორი. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

კურზატი ® რ სფ

ვერსია: 1.0	განახლების თარიღი: 21.09.2023	უმფ ნომერი: 800080000258	ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023
----------------	----------------------------------	-----------------------------	---

6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

- პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები : თავიდან აიცილეთ მტვრის წარმოქმნა. გამოიყენეთ შესაბამისი დაცვის საშუალებები. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ მე-8 პარაგრაფი, ექსპოზიციის კონტროლი და პირადი უსაფრთხოება.
- გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები : თუ პრეპარატი აბინძურებს მდინარეებს და ტბებს ან სანიაღვრეებს, აცნობეთ შესაბამის ორგანოებს. არ დაუშვათ გარემოში გამოთავისუფლება (მოხვედრა). თავიდან აიცილეთ შემდგომი გაჟონვა ან დაღვრა, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოდ არის შესაძლებელი. შეაკავეთ და გააუვნებელყვეთ დაბინძურებული ნარევი წყალი. ადგილობრივ ხელისუფლება უნდა იყოს ინფორმირებული, თუ მნიშვნელოვანი გაჟონვის შეკავება შეუძლებელია.
- გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები : ამ პრეპარატის გავრცელებასა და უტილიზაციაზე, ასევე გამოყენებულ მასალებსა და ნივთებზე შეიძლება გავრცელდეს ადგილობრივი ან ეროვნული რეგულაციები. შეაგროვეთ და მოამზადეთ გასატანად მტვრის წარმოქმნის გარეშე. შეგროვებული მასალა შესაძლებელია უნდა მოთავსდეს სავენტილაციო ხერხის მქონე კონტეინერში. სავენტილაციო ხერხი დაცული უნდა იყოს წყლის შეღწევისგან, ვინაიდან დაღვრილ ნივთიერებებთან ურთიერთქმედებამ, შეიძლება გამოიწვიოს კონტეინერში წნევის გაზრდა. გაწმინდეთ და მოხვეტეთ. მოხვეტეთ ან შეაგროვეთ მტვერსასრუტით და მოთავსეთ უტილიზაციისათვის განკუთვნილ კონტეინერებში. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ მე-13 პარაგრაფი უტილიზაციის ღონისძიებები.

7. მოხმარება და შენახვის პირობები

- უსაფრთხო გამოყენების რჩევები : გამოიყენეთ კარგი სამრეწველო ჰიგიენისა და უსაფრთხოების პრაქტიკის შესაბამისად. პრეპარატის გამოყენების ზონაში აკრძალულია თამბაქოს მოწევა, ჭამა და დალევა. მიიღეთ პრევენციული ზომები პროდუქტის დაღვრის, ნარჩენების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად და მინიმუმამდე დაიყვანეთ მისი გარემოში მოხვედრა. გამოიყენეთ შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ მე-8 პარაგრაფი, ექსპოზიციის კონტროლი და პირადი უსაფრთხოება.
- უსაფრთხო შენახვის პირობები : შეინახეთ ჰერმეტიკულად თავდახურულ ტარაში. შეინახეთ სათანადოდ მარკირებულ ტარაში. შეინახეთ მოქმედი ეროვნული რეგულაციების შესაბამისად.
- შეუთავსებელი მასალები : ძლიერი დამჟანგავი აგენტები.
- შესაფუთი მასალები : შეუსაბამო მასალა: არ არის ცნობილი.

კურზატი ® რ სფ

ვერსია: 1.0 განახლების თარიღი: 21.09.2023 უმფ ნომერი: 800080000258 ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023

8: ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

კომპონენტები სამუშაო ადგილზე ექსპოზიციის ზღვრული მაჩვენებლებით

კომპონენტი	CAS-No.	შეფასების ტიპი (ექსპოზიციის ფორმა)	კონტროლის პარამეტრები	საფუძველი
კაოლინი	1332-58-7	MAC (აეროზოლი)	8 მგ.მ ³	RU OEL
დამატებითი ინფორმაცია: უპირატესად ფიბროგენული მოქმედების აეროზოლები, კლასი 3 - ზომიერად საშიში				
		TWA (შესუნთქვადი მტვერი)	0,1 მგ.მ ³	2004/37/EC

საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები : უზრუნველყავით სათანადო განიავება, განსაკუთრებით დახურულ შენობებში. უზრუნველყავით სათანადო გამწოვი ვენტილაცია და მტვრის შემკრები მოწყობილობები.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

სასუნთქი გზების დაცვა : მტვრის ან აეროზოლის წარმოქმნის შემთხვევაში გამოიყენეთ რესპირატორი აპრობირებული ფილტრით. ნახევარნიღაბი ნაწილაკების ფილტრით FFP2 (EN149)

ხელის დაცვა

შენიშვნები : გთხოვთ დაცვათ მასალის გამტარობის და დამცავ შრეში შეღწევის (გაცვეთის) დროის შესახებ მომწოდებლის მიერ დადგენილი მითითებები. ასევე მხედველობაში მიიღეთ კონკრეტული ადგილობრივი პირობები, რომლის დროსაც გამოიყენება პროდუქტი, როგორცაა გაჭრის, გაკაწვრის საშიშროება და კონტაქტის დრო. სპეციფიკურ სამუშაო ადგილთან შესაბამისობა უნდა განიხილოთ დამცავი ხელთათმნის მწარმოებელთან. არ ჩაიცვათ ზამბის ან ტყავის ხელთათმანები.

თვალების დაცვა

: ატარეთ დამცავი სათვალეები გვერდითი ფარებით, რომლებიც შესაბამეა EN166 სტანდარტს.

კანისა და სხეულის დაცვა

: მსუბუქი დამცავი ტანსაცმელი გრძელმკლავიანი ტანსაცმელი

დამცავი ზომები

: გამოყენებამდე ყველა ქიმიური დამცავი საშუალება უნდა შემოწმდეს ვიზუალურად. დამცავი ტანსაცმელი და ხელთათმანები უნდა შეიცვალოს ქიმიური ან ფიზიკური დაზიანების, ან დაზინძურების შემთხვევაში. კონკრეტულ სამუშაო ადგილზე დაცვის საშუალებები უნდა შეირჩეს საშიში ნივთიერების კონცენტრაციისა და რაოდენობის გათვალისწინებით.

ჰიგიენური მოთხოვნები

: გამოიყენეთ კარგი სამრეწველო ჰიგიენისა და უსაფრთხოების პრაქტიკის შესაბამისად. რეგულარულად გაასუფთავეთ აღჭურვილობა, სამუშაო ადგილი და ტანსაცმელი. დაზინძურებული ტანსაცმელი არ უნდა გაიტანოთ სამუშაო ზონიდან. შესვენების დაწყებამდე და პროდუქტის მოხმარების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები და სახე. გამოყენების დროს აკრძალულია საკვების მიღება, დალევა ან თამბაქოს მოწევა. შეინახეთ კვების პროდუქტების, სასმელისა და ცხოველების საკვებისაგან შორს.

კურზატი ® რ სფ

ვერსია: 1.0	განახლების თარიღი: 21.09.2023	უმფ ნომერი: 800080000258	ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023
----------------	----------------------------------	-----------------------------	---

გარემოს დაცვის მიზნით გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და გარეცხეთ ხელახლა გამოყენებამდე.
ნარეცი წყლის გაუვნებელოება მოახდინეთ ადგილობრივი და ეროვნული წესების შესაბამისად.

9: ფიზიკური და ქიმიური თვისებები

გარეგნული სახე	: სველებადი ფხვნილი
ფერი	: მწვანე
სუნი	: უსუნო
სუნის შეგრძნების ზღვარი	: მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
pH	: 6,2 (25 °C) კონცენტრაცია: 10 გ/ლ
ლღობის ტემპერატურა/გაყინვის ტემპერატურა	: მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
ანთების წერტილი	: არ გამოიყენება
თვითაალება	: 327 - 328 °C
სიმკვრივე	: არ გამოიყენება
მოცულობითი სიმკვრივე	: შეფუთული
ხსნადობა წყალში ხსნადობა	: დისპერსიული
ფეთქებადი თვისებები	: არ არის ფეთქებადი
დამჟანგავი თვისებები	: ნივთიერება ან ნარევი არ კლასიფიცირდება, როგორც დამჟანგავი

10. მდგრადობა და რეაქტიულობა

რეაქტიულობა	: არ კლასიფიცირდება როგორც რეაქტიული საშიშროების მქონე.
ქიმიური მდგრადობა	: სწორად შენახვისა და გამოყენების დროს არ იშლება. სტაბილურია ნორმალურ პირობებში.
სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა	: სტაბილურია რეკომენდებული შენახვის პირობებში. განსაკუთრებული საშიშროება არ არსებობს. შეიძლება წარმოიქმნას ფეთქებადი მტვერ-ჰაერის ნარევი.
ასარიდებელი გარემოებები:	: არ არის ცნობილი
შელთავსებელი მასალები/ ნივთიერებები	: არ არის ცნობილი
საშიში დაშლის პროდუქტები	: არ არის

კურზატი ® რ სფ

ვერსია: 1.0	განახლების თარიღი: 21.09.2023	უმფ ნომერი: 800080000258	ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023
----------------	----------------------------------	-----------------------------	---

11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

პროდუქტი

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა : მწვავე ტოქსიკურობის შეფასება: 1.452 მგ/კგ
მეთოდი: გაანგარიშებული

მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა : მწვავე ტოქსიკურობის შეფასება: 3,93 მგ/ლ
ექსპოზიციის დრო: 4 სთ
საკვლევი გარემო: მტვერი/ნისლი
მეთოდი: გაანგარიშებული

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა : მწვავე ტოქსიკურობის შეფასება: > 5 000 მგ/კგ
მეთოდი: გაანგარიშებული

კომპონენტები:

ორჩანაცვლებული სპილენძის ქლორიდის ტრიჰიდროქსიდი:

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა : LD₅₀ (ვირთაგვა, მამრი): 1.083 მგ/კგ
LD₅₀ (ვირთაგვა, მდედრი): 1.854 მგ/კგ

მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა : შენიშვნა: ხანგრძლივმა გადაჭარბებულმა ექსპოზიციამ შეიძლება გამოიწვიოს გვერდითი მოვლენები. მტვერმა შეიძლება გამოიწვიოს ზედა სასუნთქი გზების (ცხვირისა და ყელის) გაღიზიანება.

LC₅₀ (ვირთაგვა, მამრი): 2,83 მგ/ლ
ექსპოზიციის დრო: 4 სთ
საკვლევი გარემო: მტვერი/ნისლი

LC₅₀ (ვირთაგვა, მდედრი): 2,77 მგ/ლ
ექსპოზიციის დრო: 4 სთ
საკვლევი გარემო: მტვერი/ნისლი

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა : LD₅₀ (ვირთაგვა, მამრი და მდედრი) : > 2 000 მგ/კგ
სიმპტომები: აღნიშნული კონცენტრაციის პირობებში სიკვდილიანობა არ დაფიქსირებულა.
შეფასება: ნივთიერებას ან ნარევეს არ გააჩნია მწვავე დერმალური ტოქსიკურობა

კაოლინი:

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა : LD₅₀ (ვირთაგვა): > 5.000 მგ/კგ

ციმოქსანილი (ISO):

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა : LD₅₀ (ვირთაგვა): 960 მგ/კგ

მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა : LC₅₀ (ვირთაგვა): > 5 მგ/ლ
ექსპოზიციის დრო: 4 სთ
საკვლევი გარემო: მტვერი/ნისლი
მეთოდი: ტესტი OECD-ის 403 სახელმძღვანელო პრინციპებით

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა : LD₅₀ (ბოცვერი): > 2.000 მგ/კგ

კურზატი ® რ სფ

ვერსია:	განახლების თარიღი:	უმფ ნომერი:	ბოლო გამოცემის თარიღი –
1.0	21.09.2023	800080000258	პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023

კანის კოროზია/გალიზიანება

კომპონენტები:

კაოლინი:

სახეობა : ბოცვერი
 შედეგი : არ აღიზიანებს კანს

ციმოქსანილი (ISO):

სახეობა : ბოცვერი
 შედეგი : იწვევს კანის გალიზიანებას

თვალის სერიოზული დაზიანება / თვალის გალიზიანება

კომპონენტები:

ორჩანაცვლებული სპილენძის ქლორიდის ტრიჰიდროქსიდი:

შედეგი : არ აღიზიანებს თვალს

კაოლინი:

სახეობა : ბოცვერი
 შედეგი : არ აღიზიანებს თვალს

რესპირატორული და კანის სენსიბილიზაცია

კომპონენტები:

ორჩანაცვლებული სპილენძის ქლორიდის ტრიჰიდროქსიდი:

შეფასება : ზღვის გოჭებზე კვლევებისას არ გამოუწვევია კანის ალერგიული რეაქციები
 შეფასება : რესპირატორული სენსიბილიზაციისათვის: შესაბამისი მონაცემები არ გამოვლენილა.

ციმოქსანილი (ISO):

სახეობა : ზღვის გოჭი
 შეფასება : არ იწვევს კანის სენსიბილიზაციას

სასქესო უჯრედების მუტაგენურობა

კომპონენტები:

ორჩანაცვლებული სპილენძის ქლორიდის ტრიჰიდროქსიდი:

სასქესო უჯრედების მუტაგენურობა – შეფასება : მსგავსი ნივთიერებ(ებ)ისათვის, ინ ვიტრო გარემოში გენეტიკური ტოქსიკურობის კვლევები უარყოფითი იყო. ცხოველებზე ჩატარებული გენეტიკური ტოქსიკურობის კვლევები უარყოფითი იყო.

ციმოქსანილი (ISO):

სასქესო უჯრედების მუტაგენურობა – შეფასება : ინ ვიტრო გარემოში გენეტიკური ტოქსიკურობის კვლევებმა ზოგიერთ შემთხვევაში აჩვენა უარყოფითი შედეგი და ზოგში კი დადებითი. ცხოველებზე ჩატარებული გენეტიკური ტოქსიკურობის კვლევები უარყოფითი იყო.

კურზატი ® რ სფ

ვერსია:	განახლების თარიღი:	უმფ ნომერი:	ბოლო გამოცემის თარიღი –
1.0	21.09.2023	800080000258	პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023

კანცეროგენული მოქმედება

კომპონენტები:

კაოლინი:

კანცეროგენული მოქმედება – შეფასება : ცხოველებზე ჩატარებულ კვლევებს რაიმე ტიპის კანცეროგენული მოქმედება არ გამოუვლენია.

არსებული მონაცემების შეფასებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ნივთიერებამ გამოიწვიოს კიბო.

ციმოქსანილი (ISO):

კანცეროგენული მოქმედება – შეფასება : ლაბორატორიულ ცხოველებში არ იწვევდა კიბოს.

რეპროდუქციული ტოქსიკურობა

კომპონენტები:

ორჩანაცვლებული სპილენძის ქლორიდის ტრიჰიდროქსიდი:

რეპროდუქციული ტოქსიკურობა – შეფასება : მსგავსი ნივთიერებ(ებ)ისთვის, ცხოველებზე ჩატარებულ კვლევებში, რეპროდუქციულ ფუნქციაზე ზემოქმედება არ დაფიქსირებულა. მსგავსი ნივთიერებ(ებ)ისთვის, ლაბორატორიულ ცხოველებში იყო ნაყოფის მიმართ ტოქსიკური დედისათვის ტოქსიკური დოზების დროს.

ციმოქსანილი (ISO):

რეპროდუქციული ტოქსიკურობა – შეფასება : რეპროდუქციული ფუნქციის შესაძლო ტოქსიკანტი. ლაბორატორიულ ცხოველებში არ იწვევდა ნაყოფზე თანდაყოლილ დეფექტებს ან სხვა ზემოქმედებას.

სპეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა (STOT) – ერთჯერადი ექსპოზიციის დროს

კომპონენტები:

ორჩანაცვლებული სპილენძის ქლორიდის ტრიჰიდროქსიდი:

შეფასება : არსებული მონაცემების შეფასება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს ნივთიერება არ არის STOT-SE ტოქსიკანტი.

კაოლინი:

შეფასება : არსებული მონაცემების შეფასება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს ნივთიერება არ არის STOT-SE ტოქსიკანტი.

განმეორებითი დოზის ტოქსიკურობა

კომპონენტები:

ორჩანაცვლებული სპილენძის ქლორიდის ტრიჰიდროქსიდი:

შენიშვნა : მსგავსი ნივთიერებ(ებ)ისთვის: ცხოველებში, დაფიქსირდა ზემოქმედება შემდეგ ორგანოებზე: ღვიძლში.

კურზატი ® რ სფ

ვერსია: 1.0	განახლების თარიღი: 21.09.2023	უმფ ნომერი: 800080000258	ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023
----------------	----------------------------------	-----------------------------	---

კაოლინი:
შენიშვნა : კრისტალური სილიციუმის დიოქსიდის განმეორებითმა გადაჭარბებულმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს სილიკოზი, ფილტვების პროგრესირებადი და ინვალიდობის გამომწვევი დაავადებები.

ციმოქსანილი (ISO):
შენიშვნა : ცხოველებში, დაფიქსირდა ზემოქმედება შემდეგ ორგანოებზე: სისხლი, თიმუსი.

ასპირაციული ტოქსიკურობა

კომპონენტები:

ორჩანაცვლებული სპილენძის ქლორიდის ტრიჰიდროქსიდი:
ფიზიკურ თვისებებზე დაყრდნობით, ასპირაციის საშიშროება არ არის მოსალოდნელი.

კაოლინი:
ფიზიკურ თვისებებზე დაყრდნობით, ასპირაციის საშიშროება არ არის მოსალოდნელი.

ციმოქსანილი (ISO):
ფიზიკურ თვისებებზე დაყრდნობით, ასპირაციის საშიშროება არ არის მოსალოდნელი.

12. ეკოლოგიური ინფორმაცია

ეკოტოქსიკურობა

კომპონენტები:

ორჩანაცვლებული სპილენძის ქლორიდის ტრიჰიდროქსიდი:
თევზების მიმართ ტოქსიკურობა : შენიშვნა: ნივთიერება ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის მწვავე საფუძველზე (LC50/EC50 <0.1 მგ/ლ ყველაზე მგრძობიარე სახეობებში)

LC50 (Oncorhynchus mykiss (ცისარტყელა კალმახი)): 0,082 მგ/ლ
ექსპოზიციის დრო: 96 სთ
მეთოდი: ტესტი OECD-ის 203 სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტური

დაფნიასა და წყლის სხვა უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა : EC₅₀ (Daphnia magna (წყლის რწყილი)): <0,1 მგ/ლ
ექსპოზიციის დრო: 48 სთ

M-ფაქტორი (წყლის ბინადართათვის მწვავე ტოქსიკურობა) : 10

M-ფაქტორი (წყლის ბინადართათვის ქრონიკული ტოქსიკურობა) : 10

ციმოქსანილი (ISO):
წყლის გარემოსათვის მწვავე ტოქსიკურობა : ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის.

კურზატი ® რ სფ

ვერსია: 1.0 განახლების თარიღი: 21.09.2023 უმფ ნომერი: 800080000258 ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023

- თევზების მიმართ ტოქსიკურობა : LC50 (Lepomis macrochirus (Bluegill sunfish)): 13,5 მგ/ლ
ექსპოზიციის დრო: 96 სთ
- დაფნიასა და წყლის სხვა უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა : EC₅₀ (Daphnia magna (წყლის რწყილი)): 27 მგ/ლ
ექსპოზიციის დრო: 48 სთ
- წყალმცენარეების/წყლის მცენარეების მიმართ ტოქსიკურობა : ErC50 (Pseudokirchneriella subcapitata (მწვანე წყალმცენარეები)): 0,35 მგ/ლ
საბოლოო წერტილი: ბიომასა
ექსპოზიციის დრო: 72 სთ
- M-ფაქტორი (წყლის ბინადართათვის მწვავე ტოქსიკურობა) : 1
- დაფნიასა და წყლის სხვა უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა (ქრონიკული ტოქსიკურობა) : NOEC (Daphnia magna (წყლის რწყილი)): 0,067 მგ/ლ
საბოლოო წერტილი: შთამომავლობის რაოდენობა
ექსპოზიციის დრო: 21 დღე
კვლევის ტიპი: ნახევრად-სტატიკური ტესტი

LOEC (Daphnia magna (წყლის რწყილი)): 0,15 მგ/ლ
საბოლოო წერტილი: შთამომავლობის რაოდენობა
ექსპოზიციის დრო: 7 დღე
მეთოდი: ტესტი OECD-ის 211 სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტური
- M-ფაქტორი (წყლის ბინადართათვის ქრონიკული ტოქსიკურობა) : 1

ნიადაგის ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა : NOEC (Eisenia fetida (ჭიაყელები)): <500 მგ/კგ
ექსპოზიციის დრო: 14 დღე
საბოლოო წერტილი: სიკვდილიანობა
მეთოდი: სხვა მითითებები
- მიწისზედა ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა : პერორალური LD50 (Anas platyrhynchos (ვირჯინიული გნოლი)): > 2.050 მგ/კგ

LC50 (Colinus virginianus (ვირჯინიული გნოლი)): > 2.050 მგ/კგ
ექსპოზიციის დრო: 1 დღე
საბოლოო წერტილი: სიკვდილიანობა

NOEC (Apis mellifera (ფუტკრები)): 25 მკგ/ფუტკარზე
ექსპოზიციის დრო: 1 დღე
საბოლოო წერტილი: სიკვდილიანობა

LC50 (Colinus virginianus (ვირჯინიული გნოლი)): > 2.847 მგ/კგ
ექსპოზიციის დრო: 5 დღე
საბოლოო წერტილი: სიკვდილიანობა

12.2 მდგრადობა და დეგრადაციის უნარი

პროდუქტი:

ბიოდეგრადაციის უნარი : შენიშვნა: არ არის ადვილად ბიოდეგრადირებადი. შეფასება ეურდნობა მოქმედ ნივთიერებაზე მიღებულ მონაცემებს.

კურზატი ® რ სფ

ვერსია: 1.0 განახლების თარიღი: 21.09.2023 უძვე ნომერი: 800080000258 ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023

კომპონენტები:

ორჩანაცვლებული სპილენძის ქლორიდის ტრიჰიდროქსიდი:

ბიოდეგრადაციის უნარი : აერობული
შენიშვნები: ბიოდეგრადაციის უნარი არ გამოიყენება არაორგანულ ნივთიერებებზე.

ციმოქსანილი (ISO):

ბიოდეგრადაციის უნარი : აერობული
ინოკულანტი: გააქტიურებული შლამი, ადგილობრივი, არაადაპტირებული
კონცენტრაცია: 20 მგ/ლ
შედეგი: ადვილად ბიოდეგრადირებადი
ბიოდეგრადაცია: 11%
ექსპოზიციის დრო: 28 დღე
მეთოდი: ტესტი OECD-ის 301B სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტური
შენიშვნა: 10-დღიანი ინტერვალი: წარუმატებელი

აერობული
ინოკულანტი: გააქტიურებული შლამი, ადგილობრივი, არაადაპტირებული
კონცენტრაცია: 2 მგ/ლ
შედეგი: ადვილად ბიოდეგრადირებადი
ბიოდეგრადაცია: 14%
ექსპოზიციის დრო: 28 დღე
მეთოდი: ტესტი OECD-ის 301D სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტური
შენიშვნა: 10-დღიანი ინტერვალი: წარუმატებელი

ბიოაკუმულაციის პოტენციალი

პროდუქტი:

ბიოაკუმულაცია : შენისვნა: ნარევი არ შეიცავს ნივთიერებებს რომლებიც განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT). ნარევი არ შეიცავს ნივთიერებებს რომლებიც განიხილება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

კომპონენტები:

ორჩანაცვლებული სპილენძის ქლორიდის ტრიჰიდროქსიდი:

განაწილების კოეფიციენტი: ნ-ოქტანოლი/წყალი : შენიშვნა: შესაბამისი მონაცემები არ იძებნება.

კაოლინი:

განაწილების კოეფიციენტი: ნ-ოქტანოლი/წყალი : შენიშვნები: წყლიდან ნ-ოქტანოლში განაწილება არ გამოიყენება.

ციმოქსანილი (ISO):

განაწილების კოეფიციენტი: ნ-ოქტანოლი/წყალი : log Pow: 4,7 (20 °C)
pH: 7

კურზატი ® რ სფ

ვერსია: 1.0 განახლების თარიღი: 21.09.2023 უძველესი ნომერი: 800080000258 ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023

მეთოდი: ტესტი OECD-ის 107 სახელმძღვანელო პრინციპებით ან ეკვივალენტური
 GLP: კი
 შენიშვნა: ბიოკონცენტრაციის პოტენციალი არის სასუალო (BCF 100–3000 ან Log Pow 3 და 5).

მოხილურობა ნიადაგში

კომპონენტები:

ორჩანაცვლებული სპილენძის ქლორიდის ტრიჰიდროქსიდი:

გარემოს შემადგენელ ნაწილებში განაწილება : შენიშვნა: შესაბამისი მონაცემები არ იძებნება.

სხვა მავნე ეფექტები

კომპონენტები:

ორჩანაცვლებული სპილენძის ქლორიდის ტრიჰიდროქსიდი:

PBT და vPvB შეფასების შედეგები : ეს ნივთიერებისათვის მდგრადობის, ბიოაკუმულაციასა და ტოქსიკურობის (PBT) შეფასება არ ჩატარებულა

ოზონის შრის დამზღველი პოტენციალი : შენიშვნა: ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლის იმ ნივთიერებების სიაში, რომლებიც იწვევს ოზონის შრის დაშლას.

კაოლინი:

PBT და vPvB შეფასების შედეგები : ეს ნივთიერება/ნარევი არ განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT); ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

ოზონის შრის დამზღველი პოტენციალი : შენიშვნა: ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლის იმ ნივთიერებების სიაში, რომლებიც იწვევს ოზონის შრის დაშლას.

ციმოქსანილი (ISO):

PBT და vPvB შეფასების შედეგები : ეს ნივთიერება/ნარევი არ განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT); ეს ნივთიერება არ განიხილება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

ოზონის შრის დამზღველი პოტენციალი : შენიშვნა: ეს ნივთიერება არ არის მონრეალის პროტოკოლის იმ ნივთიერებების სიაში, რომლებიც იწვევს ოზონის შრის დაშლას.

13. უტილიზაციის ღონისძიებები

ნარჩენების მართვის მეთოდები

გამოუსადეგარი ნარჩენები : თუ ნარჩენების ან/და ტარის უტილიზაცია/განთავსება შეუძლებელია პროდუქტის ეტიკეტის ინსტრუქციების შესაბამისად, ამ შემთხვევაში ამ მასალის მართვა უნდა განხორციელდეს თქვენი ადგილობრივი ან რეგიონალური ხელისუფლების მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

კურზატი ® რ სფ

ვერსია: 1.0 განახლების თარიღი: 21.09.2023 უძვე ნომერი: 800080000258 ბოლო გამოცემის თარიღი – პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023

წარმოდგენილი ინფორმაცია ვრცელდება პროდუქტზე, მხოლოდ იმ სახით, რა სახითაც ხდება მისი მოწოდება. მახასიათებლებზე ან ჩამონათვალის დაფუძნებული იდენტიფიკაცია შეიძლება არ იყოს მართებული, თუ პრეპარატი გამოყენებულია, ან სხვა გზებით არის დაბინძურებული. წარმოქმნილი პრეპარატი ტოქსიკურობისა და ფიზიკური თვისებების შეფასება, ნარჩენების სწორად იდენტიფიკაციისა და უტილიზაციის მეთოდების მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობის განსაზღვრა, წარმოადგენს ნარჩენების წარმოქმნელის/მომხმარებლის პასუხისმგებლობას. თუ მოწოდებული პროდუქტი უკვე იქცა ნარჩენად, დაიცავით ყველა მოქმედი რეგონალური, ეროვნული და ადგილობრივი კანონები.

14: ინფორმაცია ტრანსპორტირების შესახებ

UN (გაეროს) ნომერი : UN3077
 სათანადო გადაზიდვის სახელი : ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, მყარი. N.O.S. (სპილენძის ოქსიქლორიდი, ციმოქსანილი)
 კლასი : 9
 შეფუთვის ჯგუფი : III
 ეტიკეტები : 9
 საფრთხის საიდენტიფიკაციო ნომერი : 90
 გვირაბში შეზღუდვის კოდი : (-)
 ეკოლოგიური საფრთხე : არის

UNRTDG
 UN ნომერი : UN3077
 სათანადო გადაზიდვის სახელი : ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, მყარი. N.O.S. (სპილენძის ოქსიქლორიდი, ციმოქსანილი)
 კლასი : 9
 შეფუთვის ჯგუფი : III
 ეტიკეტები : 9
 ეკოლოგიური საფრთხე : არ არის

ATA-DGR
 UN/ID No. : UN3077
 სათანადო გადაზიდვის სახელი : ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, მყარი. N.O.S. (სპილენძის ოქსიქლორიდი, ციმოქსანილი)
 კლასი : 9
 შეფუთვის ჯგუფი : III
 ეტიკეტები : სხვადასხვაგვარი
 შეფუთვის ინსტრუქცია (სატვირთო თვითმფრინავი) : 956
 შეფუთვის ინსტრუქცია (სამგზავრო თვითმფრინავი) : 956

MDG-Code
 UN ნომერი : 3077
 სათანადო გადაზიდვის სახელი : ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, მყარი. N.O.S. (სპილენძის ოქსიქლორიდი, ციმოქსანილი)
 კლასი : 9

კურზატი ® რ სფ

ვერსია:	განახლების თარიღი:	უმფ ნომერი:	ბოლო გამოცემის თარიღი –
1.0	21.09.2023	800080000258	პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023

შეფუთვის ჯგუფი:	: III
ეტიკეტები	: 9
EmS Code	: F-A, S-F
ზღვის დამაბინძურებელი	: არის (სპილენძის ოქსიქლორიდი, ციმოქსანილი)
შენიშვნა	: ტვირთის კატეგორია A

დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL 73/78 საერთაშორისო კონვენციის II დანართისა და IBC კოდექსის შესაბამისად:

არ ვრცელდება ამ პროდუქტზე მოწოდებული ფორმით.

დამატებითი ინფორმაცია:

საზღვაო დამაბინძურებლები, რომლებსაც ენიჭება გაეროს ნომერი 3077 და 3082, ცალკეულ ან კომბინირებულ შეფუთვაში შეიცავს სუფთა რაოდენობას 5 ლ–ს ან ნაკლებს სითხეებისათვის, ასევე ცალკეულ ან შიდა შეფუთვაში სუფთა წონას 5 კგ–ს ან ნაკლებს მყარი ნივთიერებებისათვის, შეიძლება იყოს ტრანსპორტირებული, როგორც არასახიფათო ტვირთები, როგორც ეს მოცემულია IMDG კოდექსის 2.10.2.7 ნაწილში, სპეციალურ დებულებაში IATA A197 პეციალურ დებულებაში და ADR / RID სპეციალურ დებულებაში 375.

უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისათვის

აქ მოწოდებული ტრანსპორტირების კლასიფიკაცია(ები) განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისათვის და ეყრდნობა მხოლოდ გაუხსნელი პროდუქტის თვისებებს, როგორც ეს აღწერილია ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში. ტრანსპორტირების კლასიფიკაცია შეიძლება შეიცვალოს სატრანსპორტო საშუალების ტიპის, შეფუთვის ზომისა და რეგიონალური ან ქვეყნის რეგულაციებში ცვლილებების შესაბამისად.

15. მარეგულირებელი ინფორმაცია

ნივთიერებისა და ნარეგებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/კანონმდებლობა

16. დამატებითი ინფორმაცია

მითითებული H-ფრაზების სრული ტექსტი

H302	მაგნე გადაყლაპვისას.
H313	შეიძლება მაგნე იყოს კანთან შეხებისას.
H332	მაგნე ჩასუნთქვისას.
H333	შეიძლება მაგნე იყოს ჩასუნთქვისას.
H361	ვარაუდობენ რომ უარყოფითად იმოქმედებს ნაყოფიერებაზე ან მუცლად მყოფ ბავშვზე.
H400	ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის.
H410	ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის ხანგრძლივი ეფექტებით.

სხვა აბრევიატურების სრული ტექსტი

მწვავე ტოქს. (Acute Tox.)	: მწვავე ტოქსიკურობა
წყლის მწვავე (Aquatic Acute)	: წყლის გარემოსათვის მოკლევადიანი (მწვავე) საშიშროება
წყლის ქრონიკული (Aquatic Chronic)	: წყლის გარემოსათვის გრძელვადიანი (ქრონიკული) საშიშროება

კურზატი ® რ სფ

ვერსია:	განახლების თარიღი:	უმჯ ნომერი:	ბოლო გამოცემის თარიღი –
1.0	21.09.2023	800080000258	პირველი გამოცემის თარიღი: 21.09.2023

სხვა აბრევიატურების სრული ტექსტი

მწვავე ტოქს. (Acute Tox.)	: მწვავე ტოქსიკურობა
წყლის მწვავე (Aquatic Acute)	: წყლის გარემოსათვის მოკლევადიანი (მწვავე) საშიშროება
წყლის ქრონიკული (Aquatic Chronic)	: წყლის გარემოსათვის გრძელვადიანი (ქრონიკული) საშიშროება
რეპრ. (Repr.)	: რეპროდუქციული ტოქსიკურობა
2004/37/EC	: ევროპა. 2004/37/EC დირექტივა სამუშაოზე კანცეროგენებისა და მუტაგენების ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა დაცვის თაობაზე
RU OEL	: SanPiN 1.2.3685-21 ცხრილი 2.1, ცხრილი 2.8, ცხრილი 2.16 და ცხრილი 2.17 მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციები (MPC) სამუშაოსამუშაო ზონის ჰაერში
2004/37/EC / TWA	: გრძელვადიანი ექსპოზიციის ზღვარი
Dow IHG / TWA	: ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია – დროში გასაშუალოებული ზემოქმედება

ADN - ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების შიდა საწყალოსნო გზებით გადაზიდვის შესახებ; ASTM - ნივთიერებების ტესტირების ამერიკული საზოგადოება; ECx - ეფექტური კონცენტრაცია, რომელიც დაკავშირებულია რეაქციის x%-თან; EmS - საგანგებო განრიგი. ErCx - კონცენტრაცია, რომელიც ასოცირდება x% ზრდის ტემპთან; GHS - გლობალური ჰარმონიზებული სისტემა; GLP - კარგი ლაბორატორიული პრაქტიკა; IATA - საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაცია; IBC - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კოდექსი დაუფასოებელი საშიში ქიმიური ტვირთების გადაზიდვაში გემების მშენებლობისა და აღჭურვის შესახებ; IC50 - საშუალო მაინჰიბირებელი კონცენტრაცია; IMDG - საერთაშორისო საზღვაო სახიფათო ტვირთები; IMO - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია; LC50 - სასიკვდილო კონცენტრაცია 50%-მდე საცდელი პოპულაციისთვის; LD50 - სასიკვდილო დოზა 50%-მდე საცდელი პოპულაციისთვის (საშუალო სასიკვდილო დოზა); MARPOL - საერთაშორისო კონვენცია გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად; n.o.s. - სხვაგვარად მითითებული არ არის; NOEC - დაუფიქსირებელი უარყოფითი ეფექტის კონცენტრაცია; OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია; OPPTS - პესტიციდებით და ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების პრევენციის ოფისი; (Q)SAR - (რაოდენობრივი) სტრუქტურა-აქტივობის ურთიერთკავშირი; RID -სახიფათო ტვირთების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვასთან დაკავშირებული რეგულაციები; SDS - უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი; UN - გაერთიანებული ერები;

დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაცია : გაითვალისწინეთ ეტიკეტზე მითითებული გამოყენების ინსტრუქცია.

პროდუქტის კოდი: GF-4126

აღნიშნულ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში წარმოდგენილი ინფორმაცია სწორია ჩვენი ცოდნის, ინფორმაციისა და კომპეტენციის ფარგლებში გამოქვეყნებისა და განახლების მომენტისათვის. აღნიშნული ინფორმაცია არის მხოლოდ უსაფრთხოდ მოხმარების, გამოყენების, შენახვის, ტრანსპორტირების, განკარგვის შესახებ სახელმძღვანელო და არ განიხილება როგორც გარანტია ან ხარისხის დაზუსტება. აღნიშნული ინფორმაცია ეხება მხოლოდ კონკრეტულ პრეპარატს და შეიძლება არ იყოს სარწმუნო იმ პრეპარატისათვის რომელიც გამოიყენება სხვა ნივთიერებებთან ნაზავში ან რაიმე ტექნოლოგიურ პროცესში და ეს არ არის მითითებული ტექსტში.

GE / 6N